ოქმი:**ო03.37222101**

თარიღი:**17/08/2022**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 28 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. მელუა, ე. გორდელაძე, ნ. ღაჟონია, ტ. აროშიძე, მ. ვაშალომიძე, გ. შარაშენიძე, ქ. ხომერიკი, ს. ქარცივაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრების, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ვრცლად ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოსა ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების აანგარიში“ წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური